საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ოთარ კაჭკაჭაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ინგა ბერიძე – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ი. ბ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.03.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 022/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას, 2023 წლის 14 მარტს საჩივრით მომართა ადვოკატმა ი. ბ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ფ. კ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატი ი. ბ. დაესწრო 2023 წლის 27 აპრილს დისტანციური ფორმატით გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც მხარი დაუჭირა მის მიერ წარმოდგენილ საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატები: ფ. კ. და მ. კ. წარმოადგენდნენ მისი და ადვოკატ ბ. ქ.-ის კლიენტის მოწინააღმდეგე მხარის (მოპასუხის) ადვოკატებს, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაში (საქმე №---; საქმის განმხილველი მოსამართლე - გ. ვ.). ადვოკატ ი. ბ.-ის განცხადებით, 2023 წლის 10 იანვრის სასამართლოს მთავარ სხდომაზე, რომელსაც არ ესწრებოდა ადვოკატი მ. კ., თუმცა ესწრებოდა მისი და - ადვოკატი ფ. კ., ადვოკატმა ფ. კ.-მ მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატებს: ბ. ქ.-სა და ი. ბ.-ს მიაყენა სიტყვიერი

შეურაცხყოფა. კერძოდ, ადვოკატმა ფ. კ.-მ არაერთხელ, მტკიცებით ფორმატში განაცხადა, რომ მოსარჩელე მხარის ადვოკატებმა გააყალბეს მტკიცებულებები, მათ შორის, ფოსტის/კორესპონდენციის მხარისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ყალბი დოკუმენტებით ცდილობდნენ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას და მათი კლიენტისათვის სასარგებლო შედეგის მიღებას.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან და ადვოკატმა ბ. ქ.-მ სასამართლო პროცესზე დააზუსტეს, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ გაჟღერებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სინამდვილეს და განმარტეს, რომ კურიერმა ზ. კ.-მ სადავო კორესპონდენცია პირადად ჩააბარა მოპასუხესა და მოპასუხის დედას, თუმცა მათ შეტყობინების ჩაბარებაზე უარი განაცხადეს, რაც კურიერის მიერ აღნიშნულია საფოსტო ბილის სპეციალურ შტრიხკოდიან ბლანკეტზე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არაერთხელ განუმარტა ადვოკატ ფ. კ.-ს, რომ მის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებების ავთენტურობა დასტურდებოდა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს მიერ გაცემული კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნით. მომჩივანის განცხადებით, კოლეგების განმარტების მიუხედავად, ადვოკატი ფ. კ. განაგრძობდა მისი, ადვოკატ ბ. ქ.-ისა და მოსარჩელის მტკიცებულებების გაყალბებაში დადანაშაულებას და აცხადებდა, რომ ეს იყო როგორც თავად მისი და მისი დის, ასევე მათი მარწმუნებლის ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაცია. ადვოკატ ი. ბ.-ის განცხადებით, ადვოკატი ფ. კ. პროცესზე ცდილობდა კოლეგების გაღიზიანებას, მიმართავდა მათ უხეში ტონითა და შეურაცხმყოფელი ქვეტექსტის მქონე ფრაზებით, რის გამოც მოსარჩელე მხარის ადვოკატებმა არაერთხელ მიმართეს მოსამართლეს რეაგირებისათვის, რომ ადვოკატ ფ. კ.-სთვის მიეცათ გაფრთხილება და სასამართლოში ქცევის წესის დარღვევისათვის მისთვის დაეკისრებინათ ჯარიმა, თუმცა, მოსამართლე მხოლოდ სიტყვიერი შენიშვნით შემოიფარგლა. ადვოკატმა ი. ბ.-მ, 27.04.2023 წლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატები ფ. და მ. კ.-ები მათ მიერ წარდგენილ შესაგებელშიც არაკოლეგიურად მოიხსენიებდნენ საჩივრის ავტორს, ადვოკატ ბ. ქ.-სა და მხარეს; უთითებდნენ, რომ მათ გააყალბეს მტკიცებულებები და აგრძელებდნენ მტკიცებულებების გაყალბებას.

1.4 საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატმა ი. ბ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა შუამდგომლობა, სადაც ითხოვდა ადვოკატ ბ. ქ.-ის მოწმის სტატუსით გამოკითხვას, რაც დაკმაყოფილდა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით. გარდა მოწმის გამოკითხვის თაობაზე შუამდგომლობისა, საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატმა ი. ბ.-მ წარმოადგინა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2023 წლის 10 იანვრის სასამართლო სხდომის ოქმი (საქმე N---).

2. საჩივრის ავტორის მოწმის განმარტება:

2.1 საპროცესო კოლეგიამ საჩივრის ავტორის შუამდგომლობის საფუძველზე, 2023 წლის 27 აპრილს, დისტანციური ფორმატით, მოწმის სტატუსით გამოკითხა ადვოკატი ბ. ქ.. მოწმემ დაადასტურა საჩივრის ავტორის მიერ საჩივარში მითითებული გარემოებები.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ფ. კ. მას და ადვოკატ ი. ბ.-ს უწოდებდა არაკეთილსინდისიერ მხარეს; სასამართლოს წინაშე აცხადებდა, რომ მათ გააყალბეს დოკუმენტები და შესაგებელი არ ჩაბარებია; აპელირებდა, რომ ეს პროცესი წარმოადგენდა ფარსს და დოკუმენტები არ ყოფილა ატვირთული სასამართლო დოკუმენტბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ადვოკატი ფ.

კ. სასამართლო პროცესზე აცხადებდა, რომ ეს იყო არა მხოლოდ მისი, არამედ მისი დისა და მათი კლიენტის ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაცია და პოზიცია. მოწმის განმარტებით, ადვოკატს მოსამართლემ არაერთხელ მისცა სიტყვიერი შენიშვნა, თუმცა ის არ გაუფრთხილებია და არც დაუჯარიმებია. მოწმემ ყურადღება გაამახვილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმის (საქმე N---) 01:15:29; 01:16:38; 01:16:45 საათებზე და განმარტა, რომ სხდომის ოქმის აღნიშნულ მონაკვეთებში მკაფიოდ ისმის რომ ადვოკატი ფ. კ. კოლეგებს მოიხსენიებს არაკეთილსინდისიერ მხარედ და აღნიშნავს, რომ მათ გააყალბეს მტკიცებულებები.

2.3 მოწმის შეფასებით, ადვოკატი ფ. კ. ცდილობდა როგორც მისი, ისე ადვოკატ ი. ბ.-ის დამცირებას და განზრახ აკეთებდა პროვოკაციულ განცხადებებს, კოლეგებს ესაუბრებოდა ხმამაღალი, დამცინავი ტონით, უწოდებდა მათ გამყალბებლებს და აცხადებდა, რომ მათ სასამართლო შეცდომაში შეიყვანეს, რაც წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსით მარეგულირებელი ნორმების დარღვევას.

3. ადვოკატის პოზიცია:

3.1 ადვოკატ ფ. კ.-ს 2023 წლის 24 მარტს ელექტრონული ფოსტის საშუალებით ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაეგზავნა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი საჩივარი და საქმის მასალები, ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება, თუმცა 2023 წლის 3 მაისის დისტანციური ფორმატით გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი განმარტება და არ დაეთანხმა საჩივარში მითითებულ გარემოებებს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, 10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში გამართულ სასამართლო პროცესზე მის მიერ გაჟღერებული პოზიცია არ იყო მტკიცებითი ფორმით და გამოხატავდა მის მოსაზრებასა და შეხედულებას. ადვოკატის განცხადებით, აღნიშნული დავის გარდა, მოწინააღმდეგე მხარეებს შორის 2019 წლიდან მიმდინარეობს სასამართლო დავები და იმის მიუხედავად, რომ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე ფლობდა ინფორმაციას მისი კლიენტისა და მისი წარმომადგენლების ფაქტობრივი და სამუშაო ადგილების მისამართების შესახებ, მან სარჩელი გააგზავნა მხარის იურიდიულ მისამართზე, რაც ადვოკატს დღემდე უქმნის შთაბეჭდილებას, რომ მხარის არაკეთილსინდისიერ განზრახვას წარმოადგენდა სასამართლოს მიეღო დაუსწრებელი გადაწყვეტილება. ადვოკატმა განმარტა, რომ ის მხოლოდ კრიტიკულ მოსაზრებებს გამოთქვამდა პროცესზე და მისი განზრახვა არ ყოფილა მხარის ან კოლეგების შეურაცხყოფა. ადვოკატ ფ. კ.-ს განმარტებით, მისი მოსაზრება, რომ კურიერმა არასწორი ინფორმაცია მიუთითა საფოსტო დოკუმენტზე, მიემართებოდა უშუალოდ კურიერს და ხაზს უსვამდა მის არაკეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. ადვოკატის განცხადებით, მისი პოზიცია მიზნად არ ისახავდა კოლეგებისთვის ან/და მხარისათვის დოკუმენტის გაყალბების დაბრალებას და მისი ნათქვამი არ მიემართებოდა არც მხარეს და არც კოლეგებს. ადვოკატის განმარტებით, მას არ ახსოვს ზუსტად რა ფორმულირებით გამოხატავდა საკუთარ მოსაზრებებს სხდომის მიმდინარეობისას, თუმცა კოლეგებისა და მხარისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია; არ გამოუყენებია ტერმინი: „გამყალბებლები“ და არ უსაუბრია მტკიცებით ფორმატში.

3.3 ადვოკატმა ფ. კ.-მ შესაგებელში, რომელსაც ხელს აწერს მხოლოდ ადვოკატი მ. კ., მითითებულ ფრაზაზე: „სასამართლოს შეცდომაში შეყვანის გზით, მისთვის სასარგებლო შედეგის მისაღწევად, მოსარჩელე მხარე დღემდე სისტემატურად აყალბებს და ადგენს ყალბ მტკიცებულებებს... ზ. ბ.-ის მიერ თვითნებურად შპს „მ. კ.-ის“ დალუქვის და დოკუმენტების და კომპიუტერების მითვისების შემდეგ ვიხილეთ არაერთი გაყალბებული მტკიცებულება, მათ შორის .... შეთანხმების ტექსტი. გამოცდილების მქონე იურისტებისათვის ადვილად შესამჩნევია ისეთი გარემოებები, რაც მიუთითებს ტექსტების სიყალბეზე, მოსარჩელე მხარემ შეთანხმების ტექსტი წარადგინა როგორც ფინანსურ პოლიციაში; ისე .....სასამართლოში,“ განმარტა, რომ სარჩელი წარდგენილია ადვოკატ მ. კ.-ს მიერ და აღნიშნული ფრაზა არ ეხებოდა 10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლო პროცესსა და საფოსტო დოკუმენტს. ფრაზა მიემართებოდა იმ გაყალბებულ დოკუმენტებს, რაზეც მათ მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში და რომლებიც ერთვოდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელს.

II. სამოტივაციო ნაწილი

4. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

4.1 ადვოკატი ფ. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

4.2 ადვოკატმა ი. ბ.-მ ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას მომართა 2023 წლის 14 მარტს.

4.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2023 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ფ. კ.-მ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომაზე (საქმე N---) მასსა და ადვოკატ ბ. ქ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, როდესაც კოლეგებს უწოდა „გამყალბებლები; არაკეთილსინდისიერები, ფ. კ.-მ არაერთხელ, მტკიცებით ფორმატში განაცხადა, რომ მოსარჩელე მხარის ადვოკატებმა გააყალბეს მტკიცებულებები, მათ შორის, ფოსტის/კორესპონდენციის მხარისათვის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტაცია; ყალბი დოკუმენტებით ცდილობდნენ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას; ამასთან, ადვოკატები: ფ. კ. და მ. კ. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში

წარდგენილ შესაგებელში მოწინააღმდეგე მხარესა და მათ ადვოკატებს უწოდებდნენ „გამყალბებლებს“.

6.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის და 10.1 მუხლის შესაძლო დარღვევის თაობაზე:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლის მიხედვით, ,,პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს და არ შელახოს მათი ღირსება.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 10.1 მუხლის მიხედვით, „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას.“

6.3 ადვოკატს, პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, კოლეგის მიმართ აქვს მთელი რიგი ნეგატიური და პოზიტიური ვალდებულებები. პროფესიული ეთიკის კოდექსი აკისრებს ადვოკატს ნეგატიურ ვალდებულებას არ შელახოს კოლეგის ღირსება, საქმიანი რეპუტაცია თუ კლიენტის უფლებები და ამავდროულად, აღჭურავს მას ისეთი პოზიტიური ვალდებულებით, როგორიცაა კოლეგებთან ურთიერთობასა და კომუნიკაციაში პატივისცემის გამოჩენა. გამომდინარე აქედან, კოლეგებს შორის ნებისმიერი საპროცესო პაექრობა, ისეთი ფორმატით უნდა წარიმართოს, რომ ადვოკატებმა განამტკიცონ პროფესიისადმი პატივისცემა და არ შელახონ კოლეგის ღირსება. (ეთიკის კომისიის 01.11.2018 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N086/18).

6.4 ,,გაეროს ძირითადი პრინციპები ადვოკატთა როლის შესახებ“ 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით..... ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

6.5 ადამიანის უფლებათა შორის გამოხატვის თავისუფლება ერთ-ერთი უმთავრესი უფლებაა, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით (17.1 და 17.2 მუხლები). თუმცა აღსანიშნავია, რომ გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური უფლება და კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში ამომწურავადაა გაწერილი ის კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც იზღუდება ინფორმაციის გავრცელების თუ მიღების თავისუფლება. კონსტიტუციის მე-17 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია .... სხვათა უფლებების დასაცავად...“.

6.6 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (საქმე N1/3/421,422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: ,,გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

6.7 „გამოხატვის თავისუფლების ძირითადი სიკეთე მოსაზრებების დაცვის მაღალ სტანდარტში მდგომარეობს, მიუხედავად იმისა, ვის მიმართ არის გამოთქმული მოსაზრებები და რამდენად კრიტიკულია მათი შინაარსი“ (ეთიკის კომისიამ 2010 წლის 29 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N076/10). ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 03 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (საქმე N2317/12/06).

6.8 ადვოკატის მიერ კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით სარგებლობისას, ის ვალდებულია დაიცვას ბალანსი საკუთარ უფლებას, დაუბრკოლებლად გამოხატოს აზრი, და სხვის უფლებებს და ღირსების დაცვას შორის.

6.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

6.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი ისეთი მტკიცებულებები, რაც დააკმაყოფილებს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტს, რომ სადავო ფაქტი ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

6.11 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ფ. კ.-ს ქცევის შესწავლისთვის დეტალურად გამოიკვლია ადვოკატ ი. ბ.-ის მიერ წარმოდგენილი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის (საქმე N---) აუდიო ოქმი.

6.12 ადვოკატ ი. ბ.-ის მიერ წარმოდგენილი ოქმის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ სასამართლო პროცესი მიმდინარეობდა დაძაბულ ფორმატში, მოწინააღმდეგე მხარეთა ადვოკატების პაექრობის ფონზე. დაპირისპირებულ მხარეთა ადვოკატები გამოთქვამდნენ კრიტიკულ მოსაზრებებს და მათ შორის მიმდინარე პაექრობა ასეთია:

- ადვოკატი ფ. კ.: *„მე შეკითხვების ეტაპზე მხარეებს გარკვეულ შეკითხვებს დავუსვამ.... სამართლებრივი საფუძვლები იყო სრულად დაუსაბუთებელი და ალბათ ეს იყო საფუძველი, რომ მხარე შეეცდებოდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, რომ ვიღაც კერძო ფოსტას დააწერინა, რომ თითქოს სარჩელს არ ვიბარებდი.... სირცხვილია, დღევანდელი რეფორმის ფარგლებში მხარე ასეთი არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ცდილობდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას..... ჩემი მოსაზრებაა ეს“*

- სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მოსამართლე აძლევს შენიშვნას: *„არ გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი ტერმინი“;* რასაც ადვოკატი პასუხობს: *„...სასამართლოს შეცდომაში შეყვანა არ არის შეურაცხმყოფელი, ამ ტერმინს იცნობს კანონმდებლობაც, მე მიმაჩნია, ანუ ჩემი მოსაზრებაა, რომ ესეა“.*

- მოსამართლე: *შეწყვიტეთ ქალბატონო ფ., ვსხედვართ სასამართლო პროცესზე, აყალიბებთ თქვენს აზრს; ..... უადგილოა მხარეთა დაპირისპირება; არ გამოიყენოთ მითითება, რომ „დააწერინა ფოსტის თანამშრომელს, სასამართლო როგორმე არ შევა შეცდომაში, ...დაჯარიმებაზე ხომ არ უნდა გადავიდეთ“.*

- ადვოკატი ფ. კ.: *„ჩემი მოსაზრებაა ეს, კიბატონო“.*

- ადვოკატი ბ. ქ.: *„ვისი ნათესავია ფოსტის თანამშრომელი? ....შენიშვნის გარდა, ხომ შეიძლება დავაჯარიმოთ?“.*

- მოსამართლე: *„ბატონო ბ., თქვენც ნუ გადახვალთ წესრიგის დარღვევაში.....“*

- ადვოკატი ფ. კ. პასუხობს ადვოკატ ბ. ქ.-ს: *„....თქვენ ვერ დამაჯარიმებთ, სასამართლო დამაჯარიმებს თუ უნდა...“ „....ვერ გავიგე საერთოდ, ვერ ვხვდები თქვენი რეპლიკების ვერც შინაარსს, ვერც თავს, ვერც ბოლოს“.*

- მოსამართლე: „შეწყვიტეთ ქალბატონო ფ.“.

- ადვოკატი ბ. ქ.: *„ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, ერთი არის წარმოდგენილი 2018 წელს, ერთი 2019 წელს, თქვენ როგორც წარმომადგენელი სასამართლოს წინაშე აცხადებთ, რომ ეს დოკუმენტები ყალბია?“*

- ადვოკატი ფ. კ.: *„რა თქმა უნდა, არც ერთი არ არის ჩემი მხარის მიერ ხელმოწერილი“.*

- ადვოკატი ბ. ქ.: *„თუ ყალბი იყო, რა მოიმოქმედეთ?“.*

- ადვოკატი ფ. კ.: *„მიმდინარეობს გამოძიება და თქვენი მხარე დაკითხვაზე იმყოფებოდა“.*

- ადვოკატი ბ. ქ.: „რას ნიშნავს ვიმყოფებოდი“.

(იხ. 10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:13:30 – 01:23:25 სთ).

- ადვოკატი ფ. კ.: *„.... დანართ N3-ში მითითებულ მტკიცებულებას ვინ აწერს ხელს? თქვენთვისაც ხომ საინტერესოა ვინ აწერს ხელს... ზემოთ მითითებულ მტკიცებულებაზე ბ. ხ.-ს ხელი არ მოუწერია და გთხოვთ მიმითითოთ რომელი სამართლებრივი ნორმით ითხოვთ სამეწარმეო რეესტრის მონაცემების გაუქმებას... ნორმა მიმითითეთ, თუნდაც ერთი და თუ 10 გაქვთ, მთლად უკეთესი თქვენთვის.. ნორმებს ვცნობ, გამცეს პასუხი... თქვენ რა ნორმასაც მითითებთ, ეს ჩემთვის სასურველი ნორმაა..“* (იხ. 10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:24:24 – 01:28:32)*; „კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს, რომ სარჩელი სამართლებრივი თვალსაზრისით სრულიად დაუსაბუთებელია და ვერ ამართლებს იმ მოლოდინებს რაც უნდა წარმოედგინა მხარეს.... მხარე რასაც უთითებს, სამართლებრივ ნორმებს.. რაც არ არსებობს, რას მიუთითებს, მე მესმის მხარის და მისი წარმომადგენლების... რა ნორმებზეც მხარემ მიუთითა ის პირდაპირ იცავს ჩემი კლიენტის - ბ. ხ.-ს ინტერესებს...“ (იხ.*

10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:36:02 – 01:40:00 სთ).

- ადვოკატი ბ. ქ. ადვოკატ ფ. კ.-ს ეხმაურება: *„თქვენი პოზიცია ჩემთვის არ არის მისაღები, შეიძლება თქვენთვის ჩემი სიტყვა ბელეტრისტიკაა.. ჩემთვის ასეთი ფორმატით ურთიერთობა არ არის მისაღები, თქვენ დასცინით მხარეს... ის არის ცინიზმით სავსე".*

ადვოკატი ფ. კ. კოლეგას არ ეპასუხება.

(იხ. 10.01.2023 წლის ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:44:30 – 01:46:05 სთ).

6.13 საპროცესო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმის (საქმე N---) იმ ნაწილებზე (01:15:29; 01:16:38; 01:16:45 საათები), რომლებსაც ხაზი გაუსვა მოწმე ბ. ქ.-მ, სადაც მოწმის განმარტებით, მკაფიოდ ისმის რომ ადვოკატი ფ. კ. კოლეგებს მოიხსენიებს არაკეთილსინდისიერ მხარედ და აღნიშნავს, რომ მათ გააყალბეს მტკიცებულებები. მოწმის მიერ დასახელებულ მონაკვეთებში ასახულია შემდეგი საუბარი:

- ადვოკატი ფ. კ.: *„მე შეკითხვების ეტაპზე მხარეებს გარკვეულ შეკითხვებს დავუსვამ.... სამართლებრივი საფუძვლები იყო სრულად დაუსაბუთებელი და ალბათ ეს იყო საფუძველი, რომ მხარე შეეცდებოდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას"* (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:13:43 – 01:14:29 სთ); *„რომ ვიღაც კერძო ფოსტას დააწერინა, რომ თითქოს სარჩელს არ ვიბარებდი...." „სირცხვილია, დღევანდელი რეფორმის ფარგლებში მხარე ასეთი არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ცდილობდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას..... ჩემი მოსაზრებაა ეს"* (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:14:30 – 01:15:49 სთ). სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მოსამართლე აძლევს შენიშვნას: *„არ გამოიყენოთ შეურაცხმყოფელი ტერმინი",* რასაც ადვოკატი პასუხობს: *„...სასამართლოს შეცდომაში შეყვანა არ არის შეურაცხმყოფელი, ამ ტერმინს იცნობს კანონმდებლობაც... მე მიმაჩნია, ანუ ჩემი მოსაზრებაა, რომ ესეა"* (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:15:53 – 01:16:06 სთ).

- მოსამართლე: *შეწყვიტეთ ქალბატონო ფ., ვსხედვართ სასამართლო პროცესზე, აყალიბებთ თქვენს აზრს; ..... უადგილოა მხარეთა დაპირისპირება; არ გამოიყენოთ მითითება, რომ „დააწერინა ფოსტის თანამშრომელს, სასამართლო როგორმე არ შევა შეცდომაში, დაჯარიმებაზე ხომ არ უნდა გადავიდეთ".*

ადვოკატი ფ. კ.: *ჩემი მოსაზრებაა ეს. კიბატონო.* (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---; 01:15:44 – 01:16:27 სთ).

აღნიშნული რეპლიკის შემდეგ, ადვოკატი ფ. კ. განაგრძობს საკუთარი პოზიციის ჩამოყალიბებას და განიხილავს მხოლოდ საქმის სამართლებრივ საფუძვლებს სადავო ტერმინოლოგიის გამოყენების გარეშე (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---; 01:16:30 – 01:16:49 სთ).

6.14 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმში (საქმე N---) ასახულია ადვოკატ ფ. კ.-ს კრიტიკული შეფასებები და პირადი

დამოკიდებულება, რაც გადმოცემული არ არის უხამსი, უწმაწური და საზოგადოებისათვის მიუღებელი ფრაზეოლოგიით. სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ ადვოკატი პირდაპირ უთითებს მხარეზე - *„სამართლებრივი საფუძვლები იყო სრულად დაუსაბუთებელი და **ალბათ ეს იყო საფუძველი, რომ მხარე შეეცდებოდა** სასამართლოს შეცდომაში შეყვანას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას, რომ ვიღაც კერძო ფოსტას დააწერინა, რომ თითქოს სარჩელს არ ვიბარებდი.....სირცხვილია, დღევანდელი რეფორმის ფარგლებში მხარე ასეთი არაკეთილსინდისიერი მეთოდებით ცდილობდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას.....“* და განმარტავს, რომ მის მიერ წარმოთქმული შენიშვნები წარმოადგენს მის პირად შეხედულებას, მოსაზრებას და საუბარს ასრულებს შემდეგი ფრაზით ***„ჩემი მოსაზრებაა ეს“.*** სხდომის ოქმის არც ერთ მონაკვეთში ადვოკატი ფ. კ. არ საუბრობს კოლეგებზე და საკუთარ შეხედულებებს გამოხატავს მხოლოდ მხარის მიმართ, რაც დასტურდება შემდეგი ფრაზით: *„ალბათ ეს იყო საფუძველი, რომ **მხარე** შეეცდებოდა სასამართლოს შეცდომაში შეყვანას და დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებას..... ჩემი მოსაზრებაა ეს“.* სხდომის ოქმიდან ასევე დგინდება, რომ ადვოკატი ფ. კ. არ საუბრობს მტკიცებით ფორმატში და იყენებს სავარაუდოობის გამომხატველ სიტყვებს - **„ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მხარე შეეცდებოდა“**, რაც სადავო ფრაზების შინაარსიდან გამომდინარე ვერ ჩაითვლება ფაქტის მტკიცებად. ფაქტისაგან განსხვავებით, აზრი წარმოადგენს შეფასებით მსჯელობას, თვალსაზრისს, კომენტარს, აგრეთვე, ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვას, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს („სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონის 7.5(ბ) მუხლი). საპროცესო კოლეგია ეყრდნობა უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას (2018 წლის 17 იანვრის სუსგ № ას-790-739-2017), რომ სიტყვა „აზრი“ ფართოდ განმარტებისას გულისხმობს განსჯას, დამოკიდებულებასა თუ შეფასებას, რომლის სისწორე თუ მცდარობა დამოკიდებულია მთლიანად ინდივიდზე, მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე. ფაქტები კი, ჩვეულებრივ, მოკლებულია სუბიექტურ დამოკიდებულებას, იგი ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარეობს, ანუ ჩვენ გვაქვს იმის შესაძლებლობა, რომ ფაქტი შევამოწმოთ და ვნახოთ, ის რეალურად არსებობდა თუ არა. აზრისა და ფაქტის გამიჯვნასთან დაკავშირებით, აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს გავრცელებული ინფორმაციისათვის აზრის სტატუსის მინიჭების სასარგებლოდ. ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ გაჟღერებული ფრაზები წარმოადგენს არა ფაქტებზე მითითებას, არამედ შეფასებით, სუბიექტურ მსჯელობას, ვარაუდის გამოთქმას და ასეთი აზრის გამოხატვა დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და „სიტყვისა და გამოხატვის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული აბსოლუტური პრივილეგიით (პასუხისმგებლობისაგან პირის სრული და უპირობო გათავისუფლება), ვის მიმართაც არ უნდა იყოს ის გამოთქმული.

6.15 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის აუდიო ოქმის ის მონაკვეთიც, სადაც ადვოკატი ფ. კ. საუბრობს ყალბ მტკიცებულებებზე:

- ადვოკატი ბ. ქ.: „ჩვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, ერთი არის წარმოდგენილი 2018 წელს, ერთი 2019 წელს, თქვენ როგორც წარმომადგენელი სასამართლოს წინაშე აცხადებთ, რომ ეს დოკუმენტები ყალბია?“

- ადვოკატი ფ. კ.: „რა თქმა უნდა, არც ერთი არ არის ჩემი მხარის მიერ ხელმოწერილი“.

- ადვოკატი ბ. ქ.: „თუ ყალბი იყო, რა მოიმოქმედეთ?“

- ადვოკატი ფ. კ.: „მიმდინარეობს გამოძიება და თქვენი მხარე დაკითხვაზე იმყოფებოდა“.

- ადვოკატი ბ. ქ.: „რას ნიშნავს ვიმყოფებოდი“ (იხ. ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმი, საქმეზე N---, 01:13:30 – 01:23:25 სთ).

სხდომის ოქმში მკაფიოდ ისმის, რომ ადვოკატი ფ. კ. უთითებს მტკიცებულების სიყალბეზე, თუმცა არ ახსენებს, რომ მტკიცებულება მისი კოლეგების ან/და მხარის გაყალბებულია. ამავდროულად, ადვოკატი განმარტავს, რომ აღნიშნული მტკიცებულებების გაყალბების ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება და მხარე დაკითხვაზე იმყოფებოდა, რაც ასევე არ მიემართება მის კოლეგებსა და მხარის წარმომადგენლებს, ვინაიდან ადვოკატი პირდაპირ უთითებს მისი კლიენტის პროცესუალურ მოწინააღმდეგეზე, ვინც მიმდინარე დავაში წარმოადგენს მოდავე მხარეს. თავის მხრივ, ის ფაქტი, რომ მხარე იმყოფებოდა გამოკითხვაზე არ არ არის უხამსი კატეგორიის ფრაზა და არ წარმოადგენს ვინმეს შეურაცხყოფას. გამომდინარე აქედან, იმ შემთხვევაშიც კი, ადვოკატის მიერ გაჟღერებულია პოზიცია კოლეგებს რომ მიემართებოდეს, მისი შინაარსიდან გამომდინარე, ეს არ ჩაითვლება კოლეგის შეურაცხყოფად, ვინაიდან ადვოკატის მსჯელობა შეურაცხმყოფელი ფრაზეოლოგიისაგან სრულიად დაცლილია და არ შეიცავს ამორალურ ან/და უხამს ეპითეტებსა და გამონათქვამებს.

6.16 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ეთიკის კომისიის მრავალწლიან პრაქტიკაზე (ეთიკის კომისიის 01.11.18 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N086/18; ეთიკის კომისიის 17.01.17 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N062/17; ეთიკის კომისიის 28.06.12 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე N057/12) და განმარტავს, რომ ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს, ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს. ადვოკატი ი. ბ. და ადვოკატი ფ. კ. წარმოადგენდნენ პროცესუალურად მოწინააღმდეგე მხარეების ადვოკატებს და შესაბამისად, ერთი ადვოკატის მიერ სასამართლო პროცესზე გამოთქმული მოსაზრებები და პროფესიული კრიტიკა შესაძლოა მეორისათვის მიუღებელი და არასასიამოვნოც კი იყო. მიუხედავად ამისა, ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის სხდომის ოქმიდან (საქმე N---) ნათლად იკვეთება, რომ ადვოკატი ფ. კ. კრიტიკული შეფასებებისა და მოსაზრებების გამოთქმისას არ საუბრობდა უწმაწური, უცენზურო გამოთქმებით და არ გასცდენია გამოხატვის თავისუფლების ფარგლებს.

6.17 შესაბამისად, საპროცესო კოლეგია ასკვნის, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ გამოთქმული სუბიექტური მოსაზრებები, არ წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული კოლეგიალურობის სტანდარტის დარღვევას (პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები).

6.18 კოლეგიალობის პრინციპის შესაძლო დარღვევის ჭრილში, საპროცესო კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ფ. კ.-ს ფრაზა: *„„....ვერ გავიგე საერთოდ, ვერ ვხვდები თქვენი რეპლიკების ვერც შინაარსს, ვერც თავს, ვერც ბოლოს“.* ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 10.01.2023 წლის (საქმე N---) სხდომის ოქმიდან დგინდება, რომ აღნიშნული ფრაზით ადვოკატი ფ. კ. ეხმაურება არა საჩივრის ავტორს, არამედ მის კოლეგას - ადვოკატ ბ. ქ.-ს. ადვოკატ ფ. კ.-ს სიტყვებს წინ უძღვის მისადმი ადვოკატ ბ. ქ.-ის მიმართვა ფოსტის თანამშრომელთან დაკავშირებით და მოსამართლისათვის მიმართვა „...ხომ შეიძლება დავაჯარიმოთ?“ შეფასებისას, საპროცესო კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატების

გულმხურვალე დამოკიდებულებას სასამართლო პროცესის მიმართ და ფაქტს, რომ ადვოკატები მოქმედებდნენ საკუთარი კლიენტების საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ფ. კ. საუბრობს საკუთარ თავზე და აცხადებს, რომ მან ვერ გაიგო კოლეგის მიერ წარმოთქმული რეპლიკის შინაარსი და მოცემული ფორმით ის გამოხატავს საკუთარ აზრსა და მის სუბიექტურ მდგომარეობას, რაც არ არის გამომჟღავნებული უხამსი, საზოგადოებისათვის მიუღებელი ტერმინოლოგიით და მიზნად არ ისახავს კოლეგის შეურაცხყოფას ან მისთვის ღირსების შელახვას. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი ფ. კ. აღნიშნული ფრაზით არ ეხმაურება საჩივრის ავტორს, თუმცა იმ შემთხვევაშიც კი, სადავო ფრაზა ადვოკატ ი. ბ.-ს რომ მიემართებოდეს, აღნიშნული არ ჩაითვლება კოლეგიალობის პრინციპის დარღვევად, ვინაიდან წარმოადგენს რეპლიკის ავტორის შეფასებასა და საკუთარ პირად მდგომარეობაზე ხაზგასმას.

6.19 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე, რომლის მიხედვითაც ადვოკატები ფ. კ. და მ. კ. ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (საქმე N---) წარდგენილ შესაგებელში არაკოლეგიურად მოიხსენიებდნენ საჩივრის ავტორს, ადვოკატ ბ. ქ.-სა და მხარეს; უთითებდნენ, რომ მათ გააყალბეს მტკიცებულებები და აგრძელებდნენ მტკიცებულებების გაყალბებას. საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა ადვოკატ ი. ბ.-ის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, მათ შორის სადავო საქმეზე ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი შესაგებელი, სადაც მითითებულია შემდეგი ტექსტი: „სასამართლოს შეცდომაში შეყვანის გზით, მისთვის სასარგებლო შედეგის მისაღწევად, მოსარჩელე მხარე დღემდე სისტემატურად აყალბებს და ადგენს ყალბ მტკიცებულებებს... ზ. ბ.-ის მიერ თვითნებურად შპს „მ. კ.-ის“ დალუქვის და დოკუმენტების და კომპიუტერების მითვისების შემდეგ ვიხილეთ არაერთი გაყალბებული მტკიცებულება, მათ შორის .... შეთანხმების ტექსტი. გამოცდილების მქონე იურისტებისათვის ადვილად შესამჩნევია ისეთი გარემოებები, რაც მიუთითებს ტექსტების სიყალბეზე, მოსარჩელე მხარემ შეთანხმების ტექსტი წარადგინა როგორც ფინანსურ პოლიციაში; ისე .....სასამართლოში.“ დოკუმენტი ხელმოწერილია მხოლოდ ადვოკატ მ. კ.-ს მიერ. ადვოკატმა ფ. კ.-მ 03.05.2023 წლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ შესაგებელი წარდგენილია მისი დის მიერ და ის მხოლოდ სასამართლო პროცესს ესწრებოდა. ადვოკატმა ასევე განმარტა, რომ შესაგებელში საუბარია იმ გაყალბებულ დოკუმენტებზე, რაზეც მათ მიერ წარდგენილი განცხადების საფუძველზე მიმდინარეობდა გამოძიება ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში და აღნიშნული დოკუმენტები თან ერთვოდა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ შესაგებელს.

6.20 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე სამოქალაქო დავაზე (საქმე N---) წარდგენილი შესაგებელი ხელმოწერილია მხოლოდ ადვოკატ მ. კ.-ს მიერ. დოკუმენტზე არ არის ადვოკატ ფ. კ.-ს ხელმოწერა. ამავდროულად, მოპასუხე ადვოკატს არც საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დაუდასტურებია, რომ იზიარებს შესაგებელში მითითებულ პოზიციას. ადვოკატმა მხოლოდ განმარტა თუ რა საკითხს ეხებოდა შესაგებელში არსებული ჩანაწერები. საჩივრის ავტორს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია სხვა ისეთი მტკიცებულება, რაც საკმარისი იქნებოდა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტისათვის, რომ შესაგებელი წარდგენილია/შედგენილია ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ და შესაბამისად, შესაგებელში მითითებული ფრაზები ეკუთვნის ადვოკატ ფ. კ.-ს. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების

გამოკვლევის შედეგად არ დგინდება ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით დადგენილი სტანდარტების შესაძლო დარღვევა.

6.21 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების საფუძველზე, საპროცესო კოლეგია ასკვნის, რომ ადვოკატ ფ. კ.-ს მიერ გამოთქმული სუბიექტური მოსაზრებები, არ წარმოადგენს პროფესიული ეთიკის კოდექსით დაცული კოლეგიალურობის სტანდარტის დარღვევას (პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 და 10.1 მუხლები).

6.22 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №022/23 ადვოკატ ფ. კ.-ს /სიითი N/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/